ПРОЛЕТАРЕБИ ᲧᲘᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

№ 179 (6234)

1978 წ. 12 სექტემბერი, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ — სამშაბათი.

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ





ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისში ჩამოფრინდა „ნაპოლის“ ფეხბურთელთა გუნდი — დინამოელთა პირველი მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში. ნეაპოლელთა სპორტულ დელეგაციას აეროპორტში გულთბილი შეხვედრა მოუწყო დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებამ. ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მოცეკვავეებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს. იტალიელთა სპორტული დელეგაცია სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავდა, მერე კი ფეხბურთელებმა „დინამოს“ სტადიონს მიაშურეს, ივარჯიშეს... ხვალ ევროპული საკლუბო ტურნირების პირველი მატჩია, უეფა-ს თასის გათამაშების პირველი მატჩი გაიმართება ჩვენს სტადიონზეც: „დინამო“ — „ნაპოლი“...

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ მეორდება. სექტემბრის თბილ საღამოს, თბილისის აეროპორტში მასპინძლები იტალიელთა გუნდს მოელიან. ამჯერად „ნაპოლი“... ტრაპზე ერთიმეორის მიყოლებით ჩამოდიან კლუბის პრეზიდენტი, მწვრთნელი, ფეხბურთელები. სტუმართა შორის ნაცნობი სახეც გამოჩნდა — ნოდარ ახალკაცი მომავალი მეტოქის თამაშს ესწრებოდა იტალიაში. ერთადერთი მატჩი უნახავს: „ნაპოლი“ — „ატალანტა“. შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრებულა.

— შარშანდელი „ინტერი“ თუ ჩვენი ახლანდელი მეტოქე?

— ძნელი სათქმელია. ისე, საკმაოდ ძლიერი გუნდია. — ტრადიციულად სიტყვაძუნწია „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

მწვრთნელის გამორჩევა ხშირად საკმაოდ იოლი საქმეა. სტუმართა მწვრთნელზე ჭანი დი მარციოზე ამას ვერ იტყვი — 38 წლისაა, შეხედულებით კი უფრო ახალგაზრდა.

— კლუბი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. განსაკუთრებით ალბათ იულიანოს, გუნდის მეხაჭის წასვლამ გაგიჩინათ საფიქრალი.

— ჰოც და არაც. მართალია, 36 წლის ფეხბურთელს ძველებურად სწრაფად თამაში აღარ შეუძლია, მაგრამ ანტონიო გუნდის სული და გული, მისი ორგანიზატორი, შეიძლება ითქვას, დირიჟორი იყო. ასეთი თვისებები კი ბევრს არ გააჩნია.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ

— კლუბმა სანაცვლოდ „ლანეროსისგან“ ფილიპი გადმოიბირა. რა სათქმელია, რომ ამ დიდძალ თანხას ქარს არ გაატანდით (ეს ის ფილიპია, რომლის წყალობითაც როსი იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა).

— ასეც არის. ჩვენ მასზე დიდ იმედს ვამყარებთ. ვფიქრობთ, ფილიპის სახით სავოლიოს (გუნდის ბომბარდირი, შარშანდელ ჩემპიონატში 13 გოლი გაიტანა) კარგი პარტნიორი ვეშოვეთ. ფილიპი იულიანოზე ახალგაზრდაა, და საერთოდ, წლევანდელმა ცვლილებებმა გუნდს სისწრაფე უნდა შემატოს. კიდევ ერთი ფეხბურთელი, პელეგრინიც, დარწმუნებული ვარ, საქმიანად ამოუდგება მხარში სავოლიოს.

გუნდის ცენტრალური ნახევარმცველის (ფილიპის) ეს ძუნწი შეფასებაც იტალიელთა მწვრთნელს ინტერვიუს ბოლოს გამოვძალეთ. მასამდე დი მარციომ ნოდარ ახალკაცზე მიგვანიშნა, ის გეტყვითო ყველაფერს. სხვა გზა არ იყო, ფურცები გავამუქეთ და „დინამოს“ მწვრთნელისაგან ინტერვიუს აღების შეუძლებლობა მოვიმიზეზეთ. როგორც ჩანს, ამან გასჭრა და დი მარციომაც პროტესტის ნიშნად ხელები გაასავსავა.

— როგორ გეკადრებათ, სინორ ახალკაცი საკმაოდ ენაწყლიანია, ამას ყველა გეტყვით, ვისთანაც კი მას ამ მოკლე ხანში ურთიერთობა ჰქონდა.

— თქვენ გინახავთ შარშანდელი მილანური მატჩი „დინამოსა“ და „ინტერს“ შორის...

— ძალიან მომეწონა თქვენი გუნდი. მგონია, რომ წელისყრა მაინცდამაინც იოლიანი არ გამოდგა ჩვენთვის. ამის შესახებ ვფიქრობ კიდეც ერთ-ერთ ინტერვიუში (სხვათაშორის ჭანი დი მარციო ესწრებოდა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატს როგორც... „უნიტასა“ და ერთ-ერთი სპორტული გაზეთის კორესპონდენტი). თუმცა ეს უფრო პატივისცემაა ჩვენი მეტოქის მიმართ, ვიდრე შიში. საბოლოო წარმატების დიდი შანსები არა გვაქვს, მაგრამ შიშით მაინც არ გვეშინია.

— თბილისელები თქვენ, რომ ორი შეხვედრის ჯამში „დინამო“ გამოვა გამარჯვებული (ეს შეკითხვა თანამოსაუბრის სამხრეთულ ტემპერამენტზე იყო გაანგარიშებული).

— დანამდვილებით არ ვიცი რას ფიქრობენ, მე კი ვფიქრობ, რომ თქვენ ცდებით.

შემდეგ ნეაპოლელთა მწვრთნელმა უარი განაცხადა გუნდის სავარაუდო შემადგენლობის დასახელებაზე. როდესაც ჩვენი ვარიანტი შევთავაზეთ (აეროპორტშიც მოვამზადეთ ერთი ასლი), ეს ამ ფურცელზე ბევრ ადგილზე ხელი ეფარა. ეს ალბათ ბევრ ადგილზე ეფარა ... ...

თბილისელ ველოსიპედისტთა წარმატება

ერევნის ტრეკზე გრძელდება საბჭოთა კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება ქვეყნის თასზე. აქვე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი 200 წრეზე ჯგუფურ რბოლაში.

200 წრეზე თბილისელმა საერთაშორისო კლასის ოსტატმა პ. ჩევარდოვმა („დინამო“) მხოლოდ ლენინგრადელ ვ. მონაკოვთან წააგო და **ვერცხლის** მედალი მოიპოვა.

აქვე სსრ კავშირის თასისთვის 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ისევ მონაკოვმა იმარჯვა. მან ფინალში თანაგუნდელი ო. კლენიკოვი დაამარცხა. მონაკოვის შედეგია — 4.53,43.

200 მეტრზე გიტში თასისთვის ბრძოლა მოიგო ს. ჟურავლიოვმა (რსფსრ) — 11,20.

იუნიორთა შორის **სპრინტში** თბილისის დინამოელმა **ე. გელაშვილმა** ფინალური ასპარეზობისას თანაგუნდელ ი. გუმაშიანს მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა. მანვე 1 კილომეტრზე ადგილიდან რბოლაში შეძლო მეორე ადგილზე გასვლა.

* * *

სურათებზე: პ. ჩევარდოვი; ე. გელაშვილი (წინ) ვარჯიშის დროს.

ო. გელაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

მახაჩყალა. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ა. ალიევის პრიზზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირში წარმატებით ისახარეზეს დებიუტანტებმა — ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა. 62 კგ-მდე წონაში პირველობდა ს. გულიამი, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა ა. ნაჯაგმა, დ. სახიმ და ზ. ჭარიმულამ ვერცხლის მედლები დასაკუთრეს.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში უძლიერესები იყვნენ საბჭოთა მოჭიდავეები: ა. იბრაჰიმოვი (48 კგ), რ. ყარაევი (52), ტ. ხაცუკოვი (57), გ. უზარხანოვი (68), ი. ბიჩუგინი (74), ვ. ევლოევი (82), მ. ელბასკინი (90), გ. ყურაშვილი (100), მ. მაგომედოვი (100 კგ-ზე ზევით).

გუნდურ ჩათვლაში ძლიერესთა სამეული ასე გამოიყურება: სსრ კავშირი, ავღანეთი და ბულგარეთი. ჯილდოები (შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 ქვეყნის 128 მოჭიდავე) მოიპოვეს, აგრეთვე, პოლონეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

მძლეოსნობა

იტალიის ქალაქ რიეტში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ევროპის ჩემპიონმა ს. სიმეონიმ (იტალია) 198 სმ სიმაღლე გადალახა. კონტინენტის ორი ოქროს მედლის ლაურეატმა, ადგილობრივმა სპრინტერმა პ. მენეამ 200 მეტრზე 20,21 წამი აჩვენა. კანელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ჰ. რონომ მორიგი გამარჯვება იზეიმა — 5000 მეტრის გარბენას 13 წუთი და 15,5 წამი მოანდომა.

აქედან რონომ კობლენცში (გფრ) გადაინაცვლა და ძალა სცადა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში. როგორც ცნობილია, იგი ამ სახეობაშიც მსოფლიო რეკორდსმენია. მან ამჯერად 0,2 წამი წააგო ევროპის ჩემპიონთან, პოლონელ ბ. მალინოვსკისთან, რომლის შედეგია 8.15,5. 800 მეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა მეორე კანელმა მ. ბოიტმა — 1.44,9, ხოლო შუბის ტყორცნა მოიგო ევროპის ჩემპიონმა მ. ვესინგმა (გფრ) — 88 მ.

მიუნხენში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა სიგრძეზე ხტომაში ა. რობინსონმა (აშშ) 812 სმ აჩვენა. ევროპის ჩემპიონი ჟაკ რუსო მესამე ადგილზე გავიდა.

ჰოკეი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰანოვერში კვირას დაასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის ბალახის ჰოკეიში. საბჭოთა ნაკრებმა თავის უკანასკნელ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი (2:1) და IX ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის გუნდი ამგვარ ტურნირში პირველად 1970 წელს მონაწილეობდა და მაშინ 18 მეტოქესთან დავაში XIV ადგილი დაიკავა. ამჯერად წინსვლა იგრძნობა, მაგრამ მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებს ასეთი პროგრესი არ აკმაყოფილებთ.

მსოფლიო ჩემპიონი გახდა გფრ-ის გუნდი. მან ფინალში მოუგო მსოფლიო ექს-ჩემპიონს — ჰოლანდიის ნაკრებს — 3:2. მესამე ადგილისთვის მატჩში ინგლისელებმა სძლიეს ევროპის ჩემპიონებს — ესპანელ ჰოკეისტებს — 2:0.

ბრძოლა მეაფრდება

ზ. იუდოვიჩი,

მატჩის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოსტატი.

ზოგჯერ ხუმრობით ამბობენ, კარგი სპორტული კომენტატორი ისაა, ვისაც შეუძლია შეჯიბრების საინტერესოდ პროგნოზირება, მაგრამ, შემდეგ, როცა ყველაფერი პირუკუ დამთავრდება, ზუსტად განმარტოს ის, რაც მოხდა.

მსოფლიო პირველობაზე გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძის მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და, ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია, გაჩნდა ბევრი სხვადასხვა პროგნოზი და მოსაზრება. პირდაპირ ვიტყვით — აქამდე გაკეთებული პროგნოზები არ გამართლდა და მათ ავტორებს უკვე შეუძლიათ ეძიონ გასამართლებელი თეზისები.

მაგალითად, მატჩის დაწყებამდე ბევრ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ ამ ორთაბრძოლაში ნონა გაფრინდაშვილს ნორჩ პრეტენდენტთან ჭარბი უპირატესობა ექნებოდა. რასაკვირველია, ამასთან ერთად უარყოფდა მაია ჩიბურდანიძის დიდ შესაძლებლობებს, მაგრამ:

— არ დავავიწყდეთ, რომ მაიამ ტურნირებში სამი პარტია წააგო მსოფლიო ჩემპიონთან, — ამბობდნენ ისინი.

—მას გამოცდილება არა აქვს, — კვერს უკრავდნენ მეორენი.

განსაკუთრებით აღინიშნებოდა ნონა გაფრინდაშვილის შესანიშნავი წარმატებები ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. მართლაც 1-IV ადგილების გაყოფა აშშ-ს ღია ჩემპიონატში (ლონ-პაინი, 1977 წ.) და II-III ადგილების გაყოფა დორტმუნდის ტურნირში (გფრ, 1978 წ.) ბევრზე მეტყველებენ.

და აი, როგორც კი დაიწყო მატჩი ბიკვინთაში, ამ „მეცნიერულად დასაბუთებულმა“ პროგნოზებმა ვერ გაუძლეს სინამდვილეს.

პირველი ექვსი პარტია მაია ჩიბურდანიძის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაია თამაშობდა მსუბუქად, დაჯერებულად, ძლიერად. აშკარად მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა რაციონალურად დროის გამოყენების ფაქტიც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ესოდენ დაძაბულ ბრძოლაში. სტარტის თითქმის ყველა პარტიაში პრეტენდენტი ქმნიდა ძვირფასი წუთების სოლიდურ მარაგს და ბრძოლის კრიტიკულ მომენტებში შეეძლო მშვიდად გარკვეულიყო გართულებებში.

ციფრები ცხადყოფენ, რომ თითოეულ სვლას მაია საშუალოდ სამ წუთს ანდომებდა, მაშინ როცა მსოფლიო ჩემპიონი თითოეულ გადაწყვეტილებას ოთხნახევარი წუთის მოფიქრების შემდეგ იღებდა.

ამ ექვს პარტიაში ნონა გაფრინდაშვილი მოსაფიქრებელი დროის სერიოზულ ნაკლებობას განიცდიდა, ხოლო მეორე, მეოთხე და მეხუთე პარტიებში მას მძიმე ცაიტნოტის დაძლევა მოუხდა.

ყველაფერ ამას ერთად აღებულს მოჰყვა ის, რომ პირველად ჭადრაკის გვირგვინისთვის გამართულ ხუთ მატჩში მსოფლიო ჩემპიონმა ზედიზედ ორი საგრძნობი მარცხი (მეოთხე, მეხუთე პარტიებში) განიცადა.

სპეციალისტები გაკვირვებით იმასაც აღინიშნავენ, რომ სტარტზე არცერთ შემთხვევაში არ გამეორებულა რომელიმე საღებიუტო ვარიანტი. მონაწილენი და, პირველ ყოვლისა, ნონა გაფრინდაშვილი ბევრ ექსპერიმენტს ატარებდნენ.

რასთანაა ეს დაკავშირებული? ასეთ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა სწორედ რომ ძნელია. შესაძლოა, რომ მსოფლიო ჩემპიონს სურდა გაეყვანა პრეტენდენტი წინასწარ მომზადებული სადებიუტო სქემების მიღმა, აეძულებინა იგი დაფასთან გადაეწყვიტა ახალი რთული პრობლემები.

თუ ეს ასეა, ვიტყვი პირდაპირ — ჯერჯერობით ფსიქოლოგიურმა სიურპრიზებმა არ გაამართლა.

თავის დროზე სახელგანთქმული მსოფლიო ჩემპიონი ე. ლასკერი ამბობდა, რომ „ჭადრაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საღი აზრი“. სწორედ „საღი აზრით“ ხელმძღვანელობდა მაია ჩიბურდანიძე უცნობ პოზიციებში და ეს შველოდა მას მზაკვრული წყალქვეშა მეჩიჩებისთვის აეცდო გვერდი.

შეიძლება ასეთი აზრიც გაჩენილიყო:

იქნებ ექსპერიმენტები გამოიწვია არასაკმაოდ დამუშავებულმა სადებიუტო რეპერტუარმა, ანდა უწინ გამოყენებულ ვაგრძელებათა სისწორეში დაეჭვებამ?

და თუმცა, ბუნებრივია, არ გვჯეროდა ასეთი აზრის სისწორისა, მაგრამ... ძნელ საჭადრაკო ბრძოლაში ყველაფერი ხდება.

როგორც ცხობილია, ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 4:2 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მას ქულებიც მეტი ჰქონდა და შესანიშნავადაც თამაშობდა.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა მეოთხე პარტიამ, რომელშიც პრეტენდენტმა, როგორც შავებით თამაშობდა, დაჯერებულად მოიგერია მსოფლიო ჩემპიონის მიერ შავ მეფეზე იერიშის ორგანიზების ცდა. ჩიბურდანიძემ დროულად წამოიწია შემხვედრი შეტევა ლაზიერის ფრთაზე, კარგად გამოიყენა თეთრი პაიკების სისუსტე ცენტრში. ამ პარტიის ფინალი მაიამ მტკიცედ და ენერგიულად წარმართა. უკვე უიმედო მდგომარეობაში გაფრინდაშვილმა დროს გადააცილა, რაც ძალიან იშვიათად მოსდის ხოლმე.

სტარტის შედეგებმა ახალი პროგნოზები წარმოშვა.

გამოანგარიშებებისა და სპორტულ მონაცემთა ზოგიერთი სულწასული მოყვარული უკვე მზად იყო „ჭადრაკის გვირგვინი“ მაია ჩიბურდანიძისთვის გადაეცა. მათ ეჩვენებოდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გატეხა წარუმატებელმა სტარტმა და მატჩში ინიციატივის დაუფლებას ვეღარ შეძლებს.

— შეჯიბრების შედეგი უკვე გარკვეულია, — ამტკიცებდნენ ეს კომენტატორები.

მსვავსი, რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, ნაჩქარევი და უსაფუძვლო იყო.

საჭადრაკო სამყაროს იცის, რომ ნონა გაფრინდაშვილი დიდად ნიჭიერი სპორტსმენია. მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი გააკეთებდა ყველაფერს, რათა გარდატეხა შეეტანა ორთაჭიდილში, შეეცვალა თავისთვის არასასიამოვნო სიტუაცია.

ზემოთ უკვე მოვიყვანე მეორე მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის ერთ-ერთი გამონათქვამი. ახლა მოვუსმინოთ პირველ „ჭადრაკის მეფეს“ ვ. სტეინიცს: „ჭადრაკი — სულით სუსტი ადამიანებისთვის როდია“, — ამბობდა იგი. ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ვუყურებდი მეშვიდე პარტიას, რომელშიც გაფრინდაშვილი შავებით თამაშობდა.

მეფის პაიკის წინსვლაზე პასუხად მსოფლიო ჩემპიონმა აირჩია „ცეცხლგამძლე“ უფიცეის დაცვა, რომელმაც მეხუთე პარტიაში უსიამოვნება მოუტანა. ესე იგი არის რწმენა საკუთარ სადებიუტო



ბიკვინთა, 10 სექტემბერი.

გრაცში (ავსტრია) მიმდინარეობს ჰაბუკთა შორის მსოფლიო პირველობა. სსრ კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. იუსუპოვი და შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული, ოსტატი ს. დოლმატოვი (ორივე — მოსკოვი).

5 ტურის შემდეგ ლიდერობს დოლმატოვი — 4,5 ქულა. ბოლო ტურში მან შვეიცარიელ ფრანზონას სძლია. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იუსუპოვი, შვედი ბორგი და დანიელი ფრაზ-ნილსენი.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით — 13 ტურად ჩატარდება.

ჯუჯენ...

პარტია გადაიდო

ბიჭვინთაში შედგა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მერვე პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. გათამაშდა იტალიური პარტია. იგი გადაიდო 42-ე სვლაზე. ჩიბურდანიძეს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ დაფაზე სხვადასხვა ფერის კუთა არსებობა ყიმის გარანტიას იძლევა. ამ პარტიის დამთავრება დღეს მოეწყობა.

ამრიგად. ჯერჯერობით ანგარიშია 4:3 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

●

მეთხუთმეტე ჭაიმი

შაბათ-კვირას ბაგიოში ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის XX პარტია გათამაშდა.

აი, ეს პარტია:

კარპოვი — კორჩნოი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ბd2 de 4. ბ:e4 ბf6 5. ბ:f6+ ef 6. კc4 ბd7 7. ბe2 კd6 8. 0—0 0—0 9. კf4 ბb6 10. კd3 კe6 11. c3 ბd5 12. კ:d6 ლ:d6 13. ლd2 ეad8 14. ეfe1 g6 15. ეad1 ბფg7 16. კe4 ბc7 17. b3 ეfe8 18. კb1 კg4 19. h3 კ:e2 20. ე:e2 ე:e2 21. ლ:e2 ბd5 22. ლd2 ბf4 23. კe4 f5 24. კf3 h6 25. h4 ბe6 26. ლe3 ბc7 27. c4 f4 28. ლc3 ლf6 29. ლa5 ბe6. 30. d5 cd 31. cd b6 32. ლa4 ბc5 33. ლ:a7 ბd7 34. d6 ლ:h4 35. ლc7 ლf6 36. b4 h5 37. a4 ბფh6 38. b5 g5 39. კc6 ბc5 40. d7 ბფg7 41. ეe1 ბe6 (პარტია გადაიდო).

პირველად მატჩში კორჩნოიმ კარო-კანის დაცვა გათამაშა. კარპოვმა აირჩია ვარიანტი, რომელიც თეთრებს მცირე უპირატესობას აძლევს. პარტიამ პოზიციური ბრძოლის ხასიათი მიიღო.

თანდათან მსოფლიო ჩემპიონმა აამოძრავა ლაზიერის ფრთის პაიკები, მანამდე კი მეფის ფრთაზე დაამუხრუჭა პრეტენდენტის ინიციატივა. 30-ე სვლაზე კარპოვმა შექმნა ცენტრალური გამსვლელი პაიკი, რომელმაც კორჩნოის სერიოზული ყურადღება მიიქცია. მსოფლიო ჩემპიონმა განაგრძო ამ პაიკის წინსვლა. ფიქრობდა, რომ მეტოქის აქტივობა მეფის ფრთაზე მას ვერ დაზარალებდა. პაიკმა მე-7 ჰორიზონტალს მიაღწია და პარტია გადაიდო კარპოვის უპირატესობით.

თამაშის განახლებისას კორჩნოიმ მაინც შეძლო კონტრთამაშის განხორციელება მეფის ფრთაზე. კარპოვი იძულებული შეიქნა გამსვლელი პაიკი დაეთმო, პრეტენდენტის ეერიში რომ უვნებელეყო. ამასობაში თამაში გამარტივდა და მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, ისევ კარპოვი ლიდერობს — 4:1.

XXI პარტია დღეს, 12 სექტემბერს უნდა გათამაშდეს.

ჭადრაკი

ხლუპასკის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, პირველი პრიზი საბჭოთა ოსტატმა მ. ცეიტლინმა მოიპოვა. მან 8,5 ქულა დააგროვა.

სსრ კავშირის პირველობა

ლიდერთა ფრე

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 10 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი) 14:14 (4:4).

ლოკომოტივი: ხიზანიშვილი (ცისკარიშვილი), ცხვედიანი, სუთიაშვილი, ჯვარიძე, წერეთელი (ტარიელაშვილი), ლიბრაძე, დოლიძე, მაისურაძე, ზ. ხარშილაძე, გაბაძე, ანთაძე, ავლასტომოვი, მ. ხარშილაძე, ლიპარტელიანი, გიორგაძე.

„ავიატორი“: სლიუსარი, ბურმაკი, ფეშენკო, შულგინი, ტოროპოვი, ტიმაშოვი (უსტიუუანინი), ალიუსკო, ბონდარენკო, ბესპალოვი, ივენკო (ალუჩნიკოვი), გონიანი, ბრიუუნინი, პოზნიაკოვი, შენკაო, დიკალოვი.

მსაჯი ვ. მასლოვი (მოსკოვი).

როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი მატჩიღა რჩება, ადგილების საბოლოო განაწილებაში ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ალბათ ამანაც განსაზღვრა კიერას მეტოქეთა მოქმედების გეგმა.

ამ დღეს მინდორზე თბილისელთა რიგებში კვლავ ვიხილეთ „ლოკომოტივის“ ვეტერანი, ერთ დროს მისი წამყვანი მოთამაშე და მწვრთნელი. სპორტის ოსტატი ზ. ხარშილაძე, რომელიც იმის გამო, რომ ნაწილობრივ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, რამდენიმე წლით მშობლიურ კოლექტივს გამოეთხოვა. ზურაბი ახლა სწავლას თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში აგრძელებს და „ლოკომოტივსაც“ დაუბრუნდა.

მინდორზე პირველად გამოვიდა წერეთელიც, რომელზეც გუნდის ხელმძღვანელობა დიდ იმედს ამყარებს. ერთი სტუკვით, მასპინძელთა შემადგენლობაში იყო სიახლეები, რაც გამარჯვების სურვილით იყო ნაკარნახევი. მაგრამ, სტუმრებიც „საბრძოლო მზადყოფნაში“ იყვნენ. „ისე ვითამაშებთ, როგორც ოქროს მედლების პრეტენდენტს შეეფერება, ვეცდებით სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს, კარგი რეგბი ვაჩვენოთ“. — გვითხრა თამაშის წინ კიეველთა გუნდის ლიდერმა გონიანმ.

მატჩმა მართლაც საინტერესო ბრძოლაში და, ამავე დროს, მეტად კორექტულად ჩაიარა.

მეტოქენი თავდაპირველად შეეცადნენ მოწინააღმდეგის დაცვაში სუსტი ადგილები მოეძებნათ, მაგრამ „ლოკომოტივიც“ და „ავიატორიც“ დროულად ატარებდნენ კონტროლისძიებებს და თავიანთი „ქალაქის“ მისადგომებს საიმედოდ იცავდნენ.

მატჩის 26-ე წუთზე თბილისელებმა მაინც მონახეს „ავიატორის“ „ქალაქის“ გასაღები: გიორგაძის მიერ მოედნის ცენტრში დაწყებული კომბინაცია თანაგუნდელებმა გააგრძელეს და იქ, სადაც მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედნის მარცხენა პირითი ნაზის აღმნიშვნელი ალამი, ანთაძემ თავგანწირული ნახტომით ბურთი მიწაზე დადო — 4:0.

წარუმატებლობას კიეველებმა გამუდმებული იერიშებით უპასუხეს და ივენკომ კინაღამ საპასუხო გოლის გატანაც შეძლო. მაგრამ აქაც გიორგაძემ გამოიჩინა თავი — „ლოკომოტივის“ ჩათვლის მოედანში შესულ მოწინააღმდეგე ბურთი ხელიდან გააგდებინა. მაშინ „ავიატორმა“ მორიგი იერიში მარჯვენა ფრთაზე დაიწყო და 35-ე წუთზე შენკაომ ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის განახლებიდან 4 წუთიც არ იყო გასული, - რომ გონიანიმ თავისი გუნდი დააწინაურა (8:4). ახლა თბილისელებს დასჭირდათ ქულის გადასარჩენად ზრუნვა.

52-ე წუთზე „ლოკომოტივს“ ორჯერ მაინც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ორიეკერ სტუმრების დაცვამ აჯობა მასპინძელთა თავდასხმას. და მაინც, რკინიგზელთა გამუდმებულ შეტევებს სასურველი შედეგი მოჰყვა — გაბაძემ აიღო კიეველთა „ქალაქი“. გიორგაძემ რეალიზაცია ცუდად დაარტყა.

ის იყო მატჩის ორი მესამედი მიილია, რომ სუთიაშვილმა აუტიდან მოიგო ბურთი და ლამაზი რეიდით თვითონვე აიღო მოწინააღმდეგის „ქალაქი“, გიორგაძემ კი ამჯერად ზუსტად დაარტყა რეალიზაცია — 14:8.

ეს უკვე გამარჯვებას უდრიდა. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ადრე დათმეს ინიციატივა და სათანადოდაც დაინაყენეს — სლიუსარმა და გონიანიმ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ქულის გადარჩენა.

ო. გელაშვილი.

ხურათზე: მომენტი თბილისის „ლოკომოტივისა“ და „ავიატორის“ მატჩიდან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

რეგბი

საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში, რომელიც კვირას გაიმართა მოსკოვის გუნდების — „ფილისა“ და „ლოკომოტივის“ ორთაბრძოლა, - „ფილომ“ მოიგო (13:9) და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მოსკოვის „სლავამ“ დამარცხა კიევის „პოლიტეხნიკი“ — 23:6.

• • •

ჩემპიონატის ბოლომდე „ფილის“ შეხვედრები ჩასატარებელი დარჩა: „სლავასთან“, „ავიატორთან“ და „პოლიტეხნიკთან“, „სლავას“ — „ავიატორთან“, „ფილისთან“ და თბილისის „ლოკომოტივთან“. „ავიატორს“ — ფილისთან“, „სლავასთან“ და მოსკოვის „ლოკომოტივთან“, ხოლო **თბილისელებს** — „პოლიტეხნიკთან“, მოსკოვის თანაკლუბელებთან და „სლავასთან“.

გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ კიდევ 3-3 მატჩი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	12	7	2	3	105—108	16
„სლავა“	12	7	1	4	188—106	15
„ლოკ.“ თბ.	12	6	3	3	165—123	15
„ავიატორი“	12	6	3	3	153—105	15
„ლოკ.“ მ.	12	4	1	7	104—114	9
„პოლიტეხ.“	12	1	0	11	95—254	2

ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

9 და 10 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„შახტიორი“ — „დინამო“ მ. 1:1
„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“ 3:1
„ჩერნომორეცი“ — „ნეფთჩი“ 1:0
„ზარია“ — „დნეპრი“ 2:2

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	23	14	6	3	33—17	34
„შახტიორი“	23	13	4	6	31—21	30
„ჩერნომორ.“	23	11	7	5	34—19	29
„დინამო“ კ.	23	10	7	6	29—18	27
„დინამო“ მ.	23	10	7	6	28—20	27
„ტორპედო“	23	10	7	6	25—18	27
„სპარტაკი“	23	10	4	9	31—26	24
ცსკა	23	10	4	9	27—31	24
„ზენიტი“	23	8	7	8	27—31	23
„ფახთაქორი“	23	7	6	10	33—35	20
„ზარია“	23	6	7	10	30—35	19
„ქარპათი“	22	6	6	10	20—29	18
„ნეფთჩი“	23	6	6	11	19—26	18
„ლოკომოტ.“	23	4	8	11	19—33	16
„დნეპრი“	23	6	3	14	19—30	15
„არარატი“	22	6	3	13	14—30	15

პირველი ლიგა

10 სექტემბერს ლვოვში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კარპატი“ და „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).

გაიმარჯვა „კარპატმა“ — 2:1.

მეორე ლიგა

10 სექტემბერს პერმში შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩი. ადგილობრივმა „ზვეზდამ“ მიიღო ზუგდიდის „დინამო“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

იუგოსლავიის ტურნეს შედეგები

ერაკლეოსი — „დინამოს“ 3:0

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა, რომლებიც უეფა-ს თასის ტურნირისთვის ემზადებიან, იუგოსლავიაში მეორე მატჩი გამართეს ქალაქ მარიბორის გუნდთან — პირველი ლიგის ლიდერთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა მ. მაჩაიძემ. ლიუბლიანის „ოლიმპიასთან“ პირველ შეხვედრაში, რომელიც დინამოელებმა წააგეს ანგარიშით 1:2, ასევე თავი გამოიჩინა დინამოელთა კაპიტანმა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა შინ დაბრუნების შემდეგ გუნდის უფროსმა კ. ასათიანმა, ზაგრების „დინამოსთან“ მატჩი არ გამართულა, ვინაიდან ადგილობრივი სტადიონი მზად არ იყო ფეხბურთელთა მისაღებად.

— პირველ მატჩში, რომელიც ლიუბლიანაში გაიმართა, შესამჩნევი უპირატესობა გვქონდა, — თქვა მან. — მაგრამ მისი გამოყენება ვერ შევძელით, ამასთან არც მსაჯობა იყო რიგიანი.

„ნაპოლისთან“ საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის ჩვენი ფეხბურთელები საუკეთესო შემადგენლობით ემზადებიან. 5 საერთაშორისო მატჩით დისკვალიფიცირებული შ. ხინჩაგაშვილის გარდა ყველა მწყობრშია. თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი იუგოსლავიიდან პირდაპირ ნეაპოლში გაფრინდა დინამოელთა მომავალი მეტოქის თამაშზე დასასწრებად. (საქინფორმი).

ახალი საკავშირო — „გადასასვლელი“

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ წლეულს პირველად ჩატარდება ახალი საკავშირო ტურნირი „გადასასვლელი“, რომელშიც მონაწილეობენ არაუმეტეს 20 წლის ასაკის ფეხბურთელები. ამ შეჯიბრების პირველ ეტაპზე მონაწილეობდნენ სპეციალიზებული სპორტსკოლების, ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფები, ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელები. ახლა დღის წესრიგშია საკავშირო ტურნირები.

შექმნილია ნახევარფინალური ჯგუფები. სოჭში ითამაშებენ ყირგიზეთის, ლატვიის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, სოხუმში — უზბეკეთის, მოსკოვის, ლიტვისა და ტაჯიკეთის, ბათუმში — ლენინგრადის, რსფსრ-ს, ბელორუსიისა და სომხეთის გუნდები.

საქართველოს ნაკრები იასპარეზებს უკრაინის, მოლდავეთის, ესტონეთისა და თურქმენეთის გუნდებთან ერთად. ჩვენი ფეხბურთელები ითამაშებენ ადლერში, სადაც 19 ნოემბერს შეხვდებიან თურქმენეთის გუნდს, 20 ნოემბერს — უკრაინელებს, 24 ნოემბერს მოლდაველებს და 26 ნოემბერს — ესტონელებს.

ნახევარფინალებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე სოხუმში ეითამაშებენ ფინალს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის № 1 ფეხბურთელად მიჩნეულია ამ ქვეყნის ნაკრებისა და კლუბ „ზაქსენრინგის“ მეკარე ი. კრონი. „ფუსბალვოჩეს“ ანკეტაში შემდგომ ადგილებზე გავიდნენ დერნერი (დრეზდენის „დინამო“) და პომერანეკე („მაგდებურგი“). ი. კრონი მესამედ გადის გდრ-ის საუკეთესო ფეხბურთელად.

ცნობილმა სპეციალისტმა, გლაზგოს „სელტიკის“ მწვრთნელმა ჯ. სტეინმა 3 წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს ინგლისის „ლიდსთან“.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ლ. მენოტიმ ამ ქვეყნის ეროვნულ ფედერაციასთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი 1982 წლის 31 დეკემბრამდე. იგი ინარჩუნებს ერთმმართველობას არგენტინის ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტებასა და მომზადებაში. მენოტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 1979 წელს უნდა ჩატარდეს იაპონიაში.

ინგლისის პროფესიულ ფეხბურთს კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი შეემატა არგენტინიდან. ესაა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრი რენე ჰოუსემანი, რომელიც ინგლისის „მიდლსბროში“ გადავიდა.

ბელგიაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მოიგო ურუგვაის „ნასიონალმა“, მან ფინალში დამარცხა ჰოლანდიის „ფეიენოორდი“ — 4:2.

უნგრეთი

პირველ ტურში კარგად ითამაშა ორივე დებიუტანტმა. „ვაშაშ ისმა“ (ბუდაპეშტის ცნობილი ქარხანა „ტუნგსრამის“ წარმომადგენელმა) ფრედ დაასრულა შეხვედრა „დოჟა უიპეშტთან“ (ბუდაპეშტი) — 0:0. მეორე დებიუტანტმა — „შალგოტარიანმა“ ასევე ფრედ ითამაშა საკუთარ მინდორზე „ფერენცვაროშთან“ (ბუდაპეშტი) — 1:1.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი) — „ბანიაში“ (ტატაბანია) 2:0, „ვაშაში“ (ბუდაპეშტი) — ვტკ (დიოშდიერი) 3:1, მტკ (ბუდაპეშტი) — „დუნაივაროში“ 3:0, „ჩეპელი“ — — „ვიდეოტონი“ (შეკეშფეჰერვარი) 1:1, „ჰალადაში“ (სომბათჰეი) — „ზალაეგერშაგი“ 0:1, „რაბა ეტო“ (დიერი) — „ბეკეშშაბა“ 2:0, მავ (შეკეშფეჰერვარი) — „დოჟა“ (პეჩი) 1:0.

პოლონეთი

„ვიძევმა“ (ლოძი), რომელიც ბიტომში თამაშობდა „პოლონიასთან“, კვლავ გაიმარჯვა — 3:2, მას 7 თამაშის შემდეგ 13 ქულა აქვს და კელავინიებურად მტკიცედ ლიდერობს. 11 ქულით II ადგილზეა ვარშავის „ლეგია“, რომელმაც სოსნოვიეცში მოუგო ადგილობრივ „ზაგლემბიეს“ — 1:0.

ჩეჯიროსაუბეჯი, ჯარტრეჯი, ჯიდეკეჯი

ბულგარეთი

3 ტურის შემდეგ 5-5 ქულით I-II ადგილებზე არიან სოფიის გუნდები ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ და „სლავია“. III ტურში არმიელებმა სტანკა დიმიტროვში მოიგეს (2:0) ადგილობრივ „მარუკთან“, ხოლო „სლავიამ“ ასევე სტუმრად დამარცხა ვარნის „ჩერნო მორე“ — 2:0.

რუმინეთი

2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით წინ არიან ჩემპიონი — ბუქარესტის „სტიაუა“, დებიუტანტი — „ფკ ბაია“ (მარე), „ფკ არგეში“ (პიტეშტი) და „სკ ტარგოვისტე“.

იუგოსლავია

4 ტურის შემდეგ 6-6 ქულით დაწინაურდნენ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ და „რიეკა“. შედარებით სუსტი სტარტი აიღო ჩემპიონმა — ბელგრადის „პარტიზანმა“. იგი 4 ქულით ჯერჯერობით მხოლოდ X ადგილზეა.

ჰოლანდია

დაიწყო 1978-79 წლების ჩემპიონატი. I ტურის შედეგები ასეთია: ნას (ბრედა) — „აიაქსი“ (ამსტერდამი) 1:7, „ვენლო“ — „ფკ დენ ჰააგი“ 1:0, „პსვ აინდჰოვენი“ — „აც 67“ (ალკმაარი) 3:1 „გოაჰედი“ (დევენტერი) — „ჰაარლემი“ 2:2, „ტვენტე“ — „პეკ (ცვოლე) 1:1, „ვოლენდამი“ — „უტრეჰტი“ 0:1, „როდა“ (კერაკრადე) — „მაასრიჰტი“ 3:0, „ფეიენოორდი“ (როტერდამი) — „ნეკ (ნიიმეგენი) 0:0, „არნჰეიმ ვიტესე“ — „სპარტა“ (როტერდამი) 2:2.

უკვე... ესპანელია

ესპანეთის პრესა იუწყება, რომ განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, არგენტინის ნაკრების მოთამაშე მარიო კემპესი უკვე... ესპანელია. ამ დღეებში მან მიიღო ესპანეთის ქვეშეერდომობა, ეს კი ნიშნავს, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში იგი გამოვა არა არგენტინის, არამედ ესპანეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

გფრ

დიდი ინტერესი გამოიწვია III ტურის მატჩმა გათამაშების ლიდერს „კაიზერსლაუტერნსა“ და ჩემპიონსა და თასის მფლობელს — „კიოლნს“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი) 2:1, „დუისბურგი“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 0:3, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ვერდერი“ (ბრემენი) 1:0, „ჰამბურგერ შპორტ ფერაინი“ — „ბოხუმი“ 1:1, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „შტუტგარტი“ 2:0, „ნიურნბერგი“ — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 2:1, „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „არმინია“ (ბილეფელდი) 1:0, „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) — „დარმშტადტ 98“ 4:1.

3 ტურის შემდეგ 5-5 ქულით წინ არიან „კაიზერსლაუტერნი“, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) და „ბორუსია“ (დორტმუნდი).

ავსტრია

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულა მხოლოდ 2 გუნდს აქვს: ლინცის „ვოუსტს“ (პირველი ლიგის დებიუტანტს) და ზალცბურგის „აუსტრიას“. ჩემპიონმა — ვენის „აუსტრიამ“ ორივე მატჩი წააგო და ჯერჯერობით ბოლო ადგილზეა.

ტრადიციას აბრძელებენ



ვრთ მათგანს თეთრი ქვედა კაბა და ზოლებიანი მაისური ეცვა, მეორეს — ცისფერი შორტები და თეთრი მაისური...

— ასე რომ არ ჩავიცვათ, ალბათ, ვერავინ გაგვარჩევს, ხშირად დედასაც ვეშლებით, — სიცილით გვეუბნებიან ტუუპები იულია და ალა სალნიკოვები, რომლებიც ამას წინათ თბილისის კორტებზე გავიცანით დინამოელთა საკავშირო ტურნირის დროს. ისინი 13 წლისანი არიან — იულია ცოტათი უფროსია... 5 წუთით.

— თუ გაგიგონიათ ცნობილი ფეხბურთელი სერგეი სალნიკოვი?...

— ჩვენი მამაა!..

ინტერვიუს ბედი ჩვენთვის გადაწყვეტილი იყო. ამაში ნორჩი ჩოგბურთელების დედა — ვალენტინა სალნიკოვაც დაგვეხმარა. რომელიც გოგონებთან ერთად ჩამოვიდა თბილისის ტურნირზე.

— ცოტა არ იყოს გასაკვირია, ისეთი ერთგული სპორტკელის როგორიცაა სერგეი სალნიკოვის შვილები, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სახელს იცავდნენ...

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ მოსკოვში პეტროვკის პარკთან, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად ვცხოვრობთ და 5 წლიდან იქ დავდიოდით. დედა, რომელიც ახალგაზრდობაში თვითონაც იყო გატაცებული სპორტით, ცურვისა და წყალში ხტომის სექციაში გვატარებდა ცნობილ მწვრთნელ ნინელ კრუტოვასთან. მას ძალიან უნდოდა გალინა პროზუმენშჩიკოვასავით გვეცურავა.

— მაგრამ?...

— მამამ მოინდომა ჩოგბურთელები გამოვსულიყავით.

— ალბათ იმიტომ, რომ ფეხბურთს ქალები არ თამაშობენ?

— ალბათ.. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უფროსი ძმა სერგეი ფეხბურთელი ვერ გამრვიდა, თუმცა მამას 4 წლიდან დაჰყავდა სტადიონზე — იგი ბიოლოგობაზე ოცნებობს. რაც შეეხება ჩოგბურთის არჩევანს, მამა ახალგაზრდობაში თვითონ თამაშობდა მას — მოსკოვის ჩემპიონიც იყო ჩოგბურთში 14-15 წლის ბიჭებს შორის. იგი ახლაც ხშირად დადის კორტზე სათამაშოდ. „დინამოში“ ახალგაზრდა მწვრთნელთან სერგეი გუსევთან ჩაგვრიცხეს. გულისხმიერმა პედაგოგმა ძალიან ბევრი რამ გვასწავლა, საბოლოოდ შეგვაყვარა სპორტის ეს ლამაზი სახეობა. სამწუხაროდ, იგი „დინამოდან“ წავიდა და დღეს სვეტლანა სევასტიანოვა გვავარჯიშებს.

— რომელი უკეთესად თამაშობთ?

— ცურვაში ალა სჯობნიდა, უფრო გამძლე იყო, ჩოგბურთში — იულია, ორივეს მოზრდილთა პირველი თანრიგი აქვს. იულია სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 1977 წლის პირველობის მესამე პრიზიორია, მოსკოვის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის. ახლახან იგი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პშეროვიდან დაბრუნდა, სადაც ევროპის ჩემპიონატში მეორე ადგილი მოიპოვა ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში. შარშან ვიტებსკში „დინამოს“ პირველობაზე იულიამ ალასთან ერთად მოიპოვა ჩემპიონის სახელი წყვილთა შორის.

იულია და ალა მოსკოვში ინგლისური ენის № 49 საშუალო სკოლაში სწავლობენ, იმ სკოლაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ნატალია ჩმირიოვამ დამთავრა.

— სკოლის დირექტორი ანა ფედოტოვა ნახევრადხუმრობით გვეუბნება: ერთი ჩმირიოვა არ მეყოფოდა, ახლა ორი სალნიკოვა რომ მოგვევლინაო — ალინაან იულია და ალა, გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის, საკავშირო თასის ხუთგზის მფლობელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის სერგეი სალნიკოვის (იგი ამჟამად მეორე ლიგის გუნდს მოსკოვის „კრასნაია პრესნიას“ უდგას სათავეში) შვილები.

სპორტული ოჯახის ტრადიციები გრძელდება. გვინდა ვიფიქროთ, რომ იულია და ალა კვლავაც წარმატებით დაიცავენ სალნიკოვების „დინასტიის“ სპორტულ ღირსებას და გულმოდგინე ვარჯიშით შეეცდებიან აჩვენონ თავიანთი კერპების — ალექსანდრე მეტრეველის, ოლგა მოროზოვას, ნატალია ჩმირიოვას ოსტატობის საკადრისი თამაში.

ო. ნოზაძე

● ● ●

სურათზე: იულია (მარცხნივ) და ალა სალნიკოვები.

გ. ახალაძის ფოტო.

ვეფხვსპორტი

საფრანგეთის გზებზე მიმდინარეობს [illegible] საერთაშორისო ველოსიპედის — ბაგ-ტურის — მეოთხე ეტაპზე. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა მორიგ წარმატებას მიაღწია და ახლა იგი მეორე ადგილზე მყოფ შვეიცარიის კოლექტივს 4 წუთითა და 36 წამით ასწრებს.

პირად პირველობაში რუან — სენტ-ეტიენის (148 კმ) ეტაპი ყველაზე სწრაფად გაიარა მშეიდობის წლევანდელ ველოსიპედელმა, გამარჯვებულმა ა. ავერინმა (კუიბიშევი) — 3:40.16. ეს ამ ასპარეზობაში მისი მეორე გამარჯვებაა. ავერინს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ი. შკოდა (ჩეხოსლოვაკია) და ა. პიკუუსი (ტარტუ).

ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისურს ინარჩუნებს ს. სუხორუჩენკოვი (კუიბიშევი). შემდეგნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები ავერინი და ლენინგრადელი ს. მოროზოვი არიან.

ხელოვნება

ყველაფერი, რაც ზნეობათ

ახლა, როდესაც მიმომხილველები იხსენებენ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, ისინი ირონიულად წერენ, რომ ყველაზე დიდი თადარიგი არგენტინისთვის, ეტყობა, ავსტრიელებმა დაიჭირეს.

რატომ? იმიტომ, რომ ამ გუნდს ახლდნენ ექიმი-ფსიქოლოგი, კათოლიკე პატრი, პროტესტანტი პასტორი და, აგრეთვე, პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი ფეხბურთელების გასაქეიფებლად.

დროზე გამოაჯარავეს

ერთმანეთს ხვდებოდა ამერიკის ქალაქ ჯონოს (ალიასკა) მოყვარულ ფეხბურთელთა ორი გუნდი. მატჩის დროს ერთ-ერთის მეკარემ ტომ კარპენტერმა (პროფესიით საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა), რომელსაც ნაკლებად უწევდა თამაში... ჩაიძინა. ამასთან დაკავშირებით კლუბის პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა: — თქმა არ უნდა, ალმაშფოთებელი ისტორიაა, მეორეს მხრივ, კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს გავიგეთ, ვისთან გვაქვს საქმე. ამ ტიპს ხომ მეკარის პოსტზე ჰქონდა პრეტენზია ჩვენს წყალბურთელთა გუნდში!

ავტოგრაფის მოყვარულები

როჩესტერის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი სასტიკად დამარცხდა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდთან, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა აშშ-ის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი ფ. ფორდი.

მატჩის შემდეგ დამარცხებულთა მწვრთნელმა მ. ნორმა თქვა: — რა თამაში უნდა გამოგვსვლოდა, როდესაც ჩვენი ოთხი კალათბურთელი ძირითადად იმაზე ფიქრობდა, როგორ აეღო მატჩის შემდეგ ფორდისგან ავტოგრაფი!

ღირსშესანიშნავი დღე

გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელ დირსეუს არასოდეს დაავიწყდება 1978 წლის 14 ივნისი. ამ დღეს იგი 26 წლის გახდა, პერუელთა კარში 2 შეგენიერი გოლი გაიტანა, შეეძინა ვაჟი, რომელსაც მისი სახელი დაარქვეს და კიდევ 38-ბრაზილიურმა ოჯახმა, რომელთაც ამ დღეს ვაჟები შეეძინა, შვილებს დირსეუ დაარქვეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ჯინ ტუნეი



ჯინ ტუნეი

ჯინ ტუნეის კრივის სამყაროში მამამ შეადგმევინა ფეხი. ეს ადამიანი დიდად გატაცებული იყო სპორტის ამ სახეობით, ეთაყვანებოდა ძველ მოკრივეებს და როცა მისი ვაჟი ათი წლის შეიქნა, ხელთათმანები აჩუქა. აქედან მოყოლებული მათ სახლში პატარა ბიჭები ხშირად სტუდიდნენ ერთმანეთის ძალას და ხერხიანობას. კრივის მომავალი დიდოსტატი ყმაწვილკაცობისას მრავალმხრივი სპორტსმენი გახლდათ. დარბოდა მოკლე და გრძელ დისტანციებზე, თამაშობდა ხელბურთს, კალათბურთს. სპორტის ამ უკანასკნელ სახეობას, რომელიც მოძრაობებით ახლო დგას კრივთან, იგი შემდგომშიც ვერ შეელია და თავის სავარჯიშო სისტემაში შუდმივი ადგილი დაუმკვიდრა.

მართალია, ტუნეიმ ბრწყინვალედ დაიწყო სპორტული კარიერა, მაგრამ კრივი თურმე დიდად არ იტაცებდა. ყოველ შემთხვევაში ასე წერს თავად — „სიმართლე რომ გითხრათ, რინგი მინდოდა ინც, როდი მიზიდავდა. ეს იყო, მოკრივის ნიჭსა და უნარს ვგრძნობდი ჩემს თავში და ვიფიქრე, ამ ხელოვნებაში ცხოვრებაში იოლად გავიდოდი ფონს“.

ტუნეიმ თავისი კარიერის მანძილზე მოუგო არაერთ ძლიერ მოკრივეს: ჰენ უერლის, ტომი გვენენს, უაით ელენს, ტომი დაუერს, დენ ო' დაუდის, ბობ მარტინს, ბობ პირსს და სხვებს. მართალია, ტუნეი ცნობილია, როგორც ტექნიკოსი, მაგრამ იგი ნოკაუტერიც გახლდათ. ჩამოთვლილ მოკრივეებთან ბრძოლების უმრავლესობა მან ნოკაუტებით დაამთავრა. ნოკაუტებით მოუგო აგრეთვე „ნოკაუტ“-მარშანსა და „ნოკაუტ“-სულივანს. ყველაზე სწრაფად ტუნეიმ დამარცხა ჯეკ ჰენლოპი — სულ რაღაც ნახევარ წუთში ნოკაუტით.

ტუნეი იმარჯვებს „ბათლინგ“ (მებრძოლ) ლევინსკისთან ორთაბრძოლაში და ხდება ამერიკის ჩემპიონი ქვეძმიმე წონაში.

დიდ ტექნიკოსზე, რომელიც გამოზომილად ირჯებოდა რინგზე, ბევრს უთქვამს ყბის მოტეხავთ, ნეკნებს გაუუბზარავთო. როგორც ამ დარტყმებს და ადგილზე ყინავდა მოძალებულ მოწინააღმდეგეს.

მის საბრძოლო არსენალში იყო აგრეთვე „ორმაგი მეზღვაურული დარტყმა“, რაც შემდეგში მდგომარეობს: შემტევი მარცხენა ჰუკს ზედიზედ მოუნაცვლებს სახეში მოწინააღმდეგეს. ეს უკანასკნელი იძულებულია ინსტინქტურად, თავის დასაცავად ხელები ზეასწიოს და მაშინ მას ხვდება მარცხენა პირდაპირი კორპუსში. ეს დარტყმა მეზღვაურთაგან გადმოიღო მწვრთნელმა სპაიკ ვებმა და მანვე შეასწავლა იგი ტუნეის.

კლინჩს ტუავის ხელთათმანის ოსტატნი მოკრივის მეგობარს უწოდებენ, ოღონდ ეს ითქმის არა ბუნებრივ, არამედ ხელოვნურ კლინჩზე და უნდა ითქვას, რომ ტუნეი მართლაც დიდებულად იყენებდა ამ ხერხს მეტოქის ტემპის შესანელებლად, დასასვენებლად თუ სხვა მიზნებისათვის. კლინჩში ჩართვისას და იქიდან გამოსვლისას კი დარტყმების სერიას განახორციელებდა ხოლმე.

ტუნეი ბრძოლისას არასოდეს არ ჰყვებოდა განცდებს. ის ნიადაგიც გონებას იყო მინდობილი. არცერთხელ არ უცდუნებია უაღლი სიამაყის გრძნობას და ნოკაუნის დროს ხშირად იცდიდა ხოლმე, ვიდრე ცხრას არ დაითვლიდნენ, თუმცა გაცილებით ადრე შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ტუნეიმ რინგზე არაერთხელ შესძლო შეუძლებელი — მას იდაყვი დაუზიანდა კალათბურთის თამაშისას. ისეთი სერიოზული ტრავმა ჰქონდა, კუნთებმაც კი იწყეს გადაგვარვება. ოღონდ მომჯობინდა თუ არა, იგი რინგზე გამოვიდა. დიდმა ტექნიკოსმა მეორე რაუნდში მოუგო მასზე წონით ლამის ორჯერ მძიმე იაუნგ ბორიელს, რომელიც 118 კილოგრამს იწონიდა, ტუნეის წონა კი ამ დროს 70 კილოგრამსაც ძლივს აღწევდა. მან ნოკაუტით მოუგო ამერიკელ ინდიელ ლუისს, მაგრამ მარჯვენა ხელის თითი მოიტეხა. შემდეგ სერიოზული შეხვედრა ელოდა „ნოკაუტ“ — სულივანთან, რომელიც ცაცია იყო. ტუნეიმ მთელი ბრძოლა, წინაღმდეგ თავისი პრინციპისა, მარცხენა ხელის მოქმედებაზე აგო და ეს მატჩი ქულებით მოიგო.

სულივანთან მეორედ შეხვედრისას ტუნეიმ თავი ისახელა ამტანობით. ძალზე ძლიერი დარტყმა მიიღო, მაგრამ არ შედრკა და წუთნახევრის შემდეგ მოიგო ნოკაუტით. ოღონდ მან ამ მატჩშიც კვლავ დაიზიანა მარჯვენა და მეორე მატჩში ლეო ჰაუკთან მარცხენა ხელის ცერი მოიტეხა. მიუხედავად ამისა, მან ჰაუკი ისე დაანარცხა ძირს, რომ იგი მეცხრე თვლაზე ძლივს წამოდგა. ტუნეიმ ეს მატჩიც მოიგო.

ჯერ კიდევ შეუხორცებელი ხელით შეება იგი იაუნგ ემბროზს და პირველსავე რაუნდში მოუგო ნოკაუტით.

ტუნეი დაუმარცხებლად მიიწევდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტახტის დასაპყრობად, მაგრამ ჰარი გრეგთან შეხვედრისას მას ორივე ხელი სტკიოდა და ქლორიანი აღრენალინი ჰქონდა შეშხაპუნებული მარცხენა წარბში. ამ ბრძოლაში მას წარბი გაუსკდა და ამასთან ცხვირიც დაუზიანდა. რის გამოც ქულებით წააგო, მატჩის შემდეგ კი გასახდელში გრძნობა დაკარგა. ეს იყო დიდი მოკრივის პირველი და უკანასკნელი წაგება.

ტუნეიმ მოუგო რეი ტომსონს, ჩარლი ვეინერტს, ფემ კაიზერს, ჩეკ უიგინსონს და გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში მაიკ მაკ თაიტი. როცა მან შეხვედრაზე უარი თქვა, ტუნეიმ გამოაცხადა მძიმე წონაში გადავდივარო...

იგი შეხვდა ევროპის ჩემპიონს მძიმე წონაში ერმინიო სპალას. ზედიზედ დაამარცხა კარპენტიე, ჰარი გრეგი და რინგზე დუელში გამოითხოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ჯეკ დემპსი. „თავისუფალი ერის გმირი“, „ყველაზე საზრიანი მოკრივე“, „რინგის სფინქსი“, ასე იხსენიებდნენ კრივის სპეციალისტები ამ მართლაც შეუდარებელ მოკრივეს.

ე. გიორგაძე,

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

მსოფლიო კრივის ორი ვარსკვლავი

გაგრძელება, იხ. „ლელო“ № 178.

გაზეთი გამოდის უოველდღე. გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქცია მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-66; მასობრივ-უფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-67; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97 63; ბადრაკის — 93-97-28, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მეშინაენეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЦ 02200